
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

12494308601814

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140194527

რეგისტრაციის თარიღი

05.03.2014 წ

ნოტარიუსი: ნინო სალაძე
მისამართი: თბილისი, ც. დადიანის #105
ტელეფონი: 2 660 383

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, ქალაქი თბილისი, ორი ათას **თოთხმეტი** წლის ***ხუთი მარტი***

ჩემთან, ნოტარიუს ***ნინო სალაძესთან*** სანოტარო ბიუროში, მდებარე **ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა №105,** გამოცხადდა: **ანზორ მაჭარაშვილი** (დაბ: 05.05.1941 წელს, საჩხერეში, რეგისტრირებული მისამართზე: **თბილისი, ურიდიას 56** პ/ნ 01020000602) და განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **კობა კობალაძეს** (დაბ: 10.08.1975 წელს, პ/ნ 01020000602). მან განაცხადა რომ სურს შეადგინოს მინდობილობა და მოითხოვა ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მისი ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი. მან წაიკითხა და განაცხადა რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის დოკუმენტს:

მინდობილობა

მე, **ანზორ მაჭარაშვილი, (მონაცემები მოცემულია ზემოთ),** როგორც შ.პ.ს. **"ორიენტირი"**-ს (საიდენტიფიკაციო №200011904) დირექტორი, უფლებამოსილებას ვანიჭებ, **კობა კობალაძეს (მონაცემები მოცემულია ზემოთ),** მასზედ, რომ იყოს ჩემი როგორც **დირექტორის წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიაში, კერძოდ უფლებამოსილია წარადგინოს განაცხადი, შპს „ორიენტირის" კუთვნილი უძრავი** ქონების ქალაქთმშენებლობის პირობებზე, არქიტექტურულ პროექტზე, მოაწეროს ხელი და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა, გაცემულია **ექვსი თვის ვადით და ძალაშია ორიათას თოთხმეტი წლის ხუთი სექტემბრის ჩათვლით.**
მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ორი გადაეცა **მიმნდობს,** ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელსაც თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

მიმნდობი: ---------

გადახდილია საზღაური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება №507-ს ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ) 31-ე მუხლის შესაბამისად 10 (ათი) ლარი + დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) + ასევე 2 (ორი) ლარი, იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო სალაძე